9920

ჯარის ნაწილებს უფასოთ ეგზავნებათ.

18 ივლისი, 1920 წ.

მხედარი

ფასი 10 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 7. ორგანო სამხ. სამინ. კულტ.-განათლ. სექციისა. № 7.

F-5745

ბათომის ტიპი: აჭარელი.

ბრძანება

რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

№ 113.

8 ივლისი, 1920 წელი.

ცნობები მოდის, რომ ზოგი ერთი უფროსები სათანადოთ ვერ აფასებენ იმ დიდ მნიშვნელოვან საქმეს, რომელიც დაკისრებული აქვს კულტურა-განათლების სექციას. ამ უკანასკნელ მოქმედებას ისინი გულგრილათ ეკიდებიან და ზოგჯერ ალმაცერათ უყურებენ. ვაქცევ უფროსების ყურადღებას ასეთ დაუშვებელ მოვლენას. ხსენებული სექციის მუშაობა ეს სხვათა შორის საქმე კი არა, არამედ ჯარის საერთო აღზრდა გაწვრთნის ორგანიული ნაწილია, და ამიტომ მას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. ჯარის ნაწილი, რომელშიაც ეს საქმე ცუდათაა დაყენებული — საერთოდ არა სდგას სათანადო სიმაღლეზე და პასუხის მგებელი არიან არა მარტო სექციის მბელმძღვანელნი, არამედ ნაწილის უფროსებიც.

საქართველოს ... ბიბლიოთეკა

II.

საქართველოს მხედარნო! ყველა ქართველი მოქალაქის გული ბედნიერების გრძნობითაა დღეს აღვსილი; ხოლო განსაკუთრებულ ბედნიერებას უნდა თქვენ გრძნობდეთ, ვინაიდან თქვენა ხართ არა მარტო მოწამე, არამედ უმთავრესი მონაწილე და მიზეზი იმ ბრწყინვალე ხანისა, რომელიც 7 ივლისიდან დაიწყება საქართველოს ისტორიაში.

ამ დიდ დღეს ქართველი ერის დაკოდილი გული გამთელდა. საქართველო გამთლიანდა; ორი წლის ბრძოლისა და ოცნების საგანი სინამდვილეთ იქცა —ბათომი და მისი ოლქი დაუბრუნდა საქართველოს. უკვე 2 წელზე მეტია, რაც ჩვენი რესპუბლიკის გარეშე და შინაურმა მტერებმა ხელიხელს მისცეს და ჯოჯოხეთურის ენერგიით ეწეოდენ ბრძოლას ჩვენს წინააღმდეგ. მათი მიზანი იყო ჩამოეგლიჯათ საქართველოსაგან მისი უძვირფასესი ნაწილი—ბათომის ოლქი და მით რესპუბლიკისათვის განუკურნელი ჭრილობა მიეყენებსათ. ყოველთვის, როდესაც თქვენ ამ ოლქს გარეშე მტრიდან იცავდით, შინაური მოღალატენი ზურგში გესხმოდნენ, ამბოხებას გიწყობდენ, შინაურ ფრონტსა ქმნიდენ და მით გარეშე მტერს ეხმარებოდენ გაშმაგებული ებრძოდენ ისინი ჩვენს რესპუბლიკას მთელი ამ ხნის განმავლობაში. აგერ ახლა აგვიფეთქეს ოლქთან შემაერთებელი რკინის გზის ხიდი. მოღალატეებს არც ეხლა სძინავთ, სულ კიდეგ სამიოდე კვირის წინ საქართველოს დედა ქალაქ თფილისში დასტამბეს ამ მუხანათებმა და ბათომს გაგზავნეს ფურცლები, რომელშიაც საქართველოს დემოკრატიას იმპერიალისტებათ აცხადებდენ და ჩვენ მოძმე აჭარლებს იარაღისკენ მოუწოდებდენ, რათა მათ არ შეეშვათ ოლქში საქართველოს მთავრობა და მისი მხედრობა და თვითონ იარაღით ხელში ესხმოდენ ჩვენ სანაპირო და მოწინავე რაზმებს და ყველა ამას ქართველი ერის გარეწარნი აწყობდენ და აწყობენ უცხოეთიდან შემოტანილი ფულითა და ხარჯით, მაგრამ ფუჭი გამოდგა გერეშე მტრის აფთარი ბრძოლა და შინაურის მუხანათური ღალატი. ორივენი დამარცხდენ ქართველი ხალხის მიერ და ამ გამარჯვებაში უმთავრესი წვლილი თქვენ გიდევთ. საქართველოს მხედარნო. მართალია ამ უკანასკნელ დღეებში ბათომის ოლქის ძალით აღება არ დაგვჭირდა, მაგრამ ის თქვენ წინანდელ ბრძოლით და სხვა ფრონტებზე გამარჯვებით მოიპოეთ. დიდი სახელმწიფონი, რომელთაც ბათომი ეჭირათ ამ უკანასკნელ დროს და რომელნიც ჩვენ სიმტკიცესა და ძლიერებაში ეჭვიანობდნენ, უკანასკნელ თვეების განმავლობაში თქვენის მეოხებით გაიცვნეს, თუ რა ყოფილა პატარა საქართველო, თუ როგორი თავგანწირული გმირობით იცავდა და დაიცო ჯარმა და გვარდიამ მოპოებული თავისუფლება და დამოუკიდებლობა. თქვენ დაუმტკიცეთ მთელ ქვეყანას, რომ საქართველოს შეუძლია საკუთარი თავითა და მკლავით გაუძღვეს თავის სახელმწიფოებრივ საქმეებს. ურწმუნონი დარწმუნდენ, მეგობარნი გაახარეთ; მტერმა, ორგულმა ქედი მოიხარა და ამგვარათ საქართველომ თავისი გაიტანა.

თქვენ მოუპოვეთ საქართველოს უძლიერეს სახელმწიფოთა პატივი და მეგობრობა და ამ სახელმწიფოებმა თავიანთი დროშა თავაზიანათ ჩამოუშვეს და მის ალაგას ბათომის ციხე-სიმაგრეებზე საქართველოს დროშა აფრიალდა.

თქვენ, თათეულ ქართველ მხედარს, რომელიც ამ უკანასკნელ თვეებში იარაღში ზიხართ, სიამაყით შეგიძლიათ სთქვათ და თქვენს შვილებსა და შთამომავლობას გადასცეთ, რომ ბათომის შემოერთების დროს რესპუბლიკის მხედრობაში იყავით გაწვეული. ყველა თქვენგანს წვლილია შეტანილი ამ დიად საქმეში.

რესპუბლიკის მთავრობის სახელით გილოცავთ ამ დიად და ბრწყინვალე გამარჯვებას. ხოლო თქვენის სახელით მთავრობას და მთელ საქართველოს ხალხს გადაეცეთ მოკითხვა, რომ ბათომი და მისი ოლქი უკანასკნელათ და სამუდამოთ დაუბრუნდა საქართველოს, რომ ჯარი და გვარდია საზეიმოთა და საქვეყნოთ აცხადებს, რომ რესპუბლიკის თავისუფლება და დამოუკიდებლობა ამიერიდან ურყევია, რომ საქართველოს დემოკრატიის ორგულნი ველარ გაიხარებენ ვერც გარეთ და ველარც შიგნით, რომ ყველა ამის თავდები თქვენა ხართ.

ეს ბრძანება წაკითხულ იქნას ყველა ნაწილებში.

სამხედრო მინისტრი **გრ. ლორთქიფანიძე.**

ბათომის შემოერთება

უდიდესი საქმე აღსრულდა, საშვილის-შვილო საქმე.

ბათომი და მისი ოლქი შეუერთდა დედა სამშობლოს, საქართველოს.

ამიერიდან საქართველო მთლიანი და განუყოფელია.

საქართველოს სხეული დიდი ხნიდან დაგლეჯილი იყო,, დაქუცმაცებული.

ვინ იყო ამისი მიზეზი?

ოსმალეთი.

უძველესი დროიდან ქართველი ხალხი გარშემორტყმული იყო მტრებით სპარსელები და ოსმალები მოსვენებას არ აძლევდენ მას. ოსმალებმა მოჰგლიჯეს საქართველოს სხეულს მისი საუკეთესო ნაწილი, მისი თვალი—ბათომი და მისი ოლქი; მცხოვრებლები ზოგი ამოჰხოცეს, სხვებს მაჰმადიანობა მიაღებიეს.

ეს მოხდა ამ რამოდენიმე საუკუნის წინეთ.

ეს ნაწილი საქართველოსი მარტო თავისი ბუნებით კი არ იყო მდიდარი, ის მდიდარი იყო ცოდნით, განათლებით.

ასეთი კუთხის მოგლეჯა საქართველოს სხეულიდან დიდი ეროვნული უბედურება იყო და ამ უბედურებას მთელი ქართველი ერი განიცდიდა, მთელი ქართველი ერი იგლოვდა.

ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილები სულ ომის ფიქრში იყვნენ, რომ როგორმე დაებრუნებიათ ისევე ბათომი და მისი ოლქი და ამგვარათ გაემთელებიათ საქართველოს სხეული, მაგრამ მტერი ძლიერი იყო, ჩვენ კი ერთი პირი არ გვქონდა; გავლენიანი მთავრები თავადები ერთი მეორეს ედავებოდენ და ეომებოდენ. ზოგი სპარსეთში გარბოდა და იქიდან მოჰყავდა ჯარი, ზოგი ოსმალეთში,

ასეთი შინაური სამოქალაქო ომის წყალობით საქართველო სისხლიდან იცლებოდა, სუსტდებოდა და მტერი კი გამარჯვებას დღესასწაულობდა

ამ ას ოცი წლის წინათ მეფე ერეკლეს დროს ქართველმა ხალხმა გადასწყვიტა, რუსეთის მფარველობა მიეღო.

რა უნდოდა ამით ქართველ ხალხს?

მტრების ჩამოშორება.

მეტი არაფერი?

ქართველ ხალხს უნდოდა ძლიერი რუსეთის შემწეობით ბათომისა და მისი ოლქის დაბრუნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც მეფე ერეკლემ და ეკატერინე მეორემ ხელშეკრულება დასდვეს, ერეკლე სწერდა ეკატერინეს: როდის დავიწყოთ ომი ოსმალეთთან ბათომისა და მისი ოლქის შემოერთებისათვისო.

მთელი ქართველი ერი გამსჭვალული იყო იმ რწმენით, რომ საქართველოს არსებობა უბათუმოთ შეუძლებელი იყო.

რუსეთის მთავრობამ არ გაამართლა ქართველი ერის მოლოდინი.

როს საშველათ მოწვეულმა წაგვიჭირა თოკი ყელში, აი მაშინ მიხვდა ქართველი ერი, რომ თვით მპყრობელი მეფის მთავრობა მის-კეთილდღეობისათვის არ შეიწუხებდა თავს,

სამოცდა თუხუთმეტ წელს ატყდა რუსეთ-ოსმალეთის შუა ომი, რასაც შედეგათ მოჰყვა ოსმალეთის დამარცხება და ბათომისა და მისი ოლქის შემოერთება.

ქართველი ერის გულში ისევ იფეთქა იმედმა და დააპირა ჩვენმა საზოგადოებამ ძმური კავშირის გაბმა ქართველ მაჰმადიანებთან, მაგრამ რუსეთის მთავრობამ კარგათ იცოდა: რომ ძალა ერთობაშია და გადაეღობა ჩვენს ხალხს წინ.

ჩვენი ხალხი არ შეუშვა მან ბათომის ოლქში და ამავე დროს მაჰმადიან ქართველებს უჩიჩინებდენ მისი მოსყიდული მოხელეები: თქვენ ქართველები კი არა ხართ, თათრები ხართო.

მიუხედავათ ამისა მაჰმადიანი ქართველების გულში ჩაუქრობელათ ენთო ცეცხლი საერთო სამშობლოს სიყვარულისა და ვერავითარმა ბოროტმა ენამ ვერ შეარყია მათი რწმენა, რომ ისინი ქართველები არიან და ჭირსა და ლხინში ერთათ უნდა იყონ მთელ ქართველ ერთან.

მაჰმადიან ქართველებში გამოჩნდენ მამულისათვის თავდადებული გმირები, რომლებიც არ ერიდებოდენ არავითარ დაბრკოლებას და მთელი თავისი ძალღონით საქართველოს გაერთიანებისათვის შრომობდენ.

რევოლიუციის ხანაში ჯერ ოსმალეთი დაეპატრონა ბათომსა და იმის ოლქს, შემდეგ ინგლისი,

სამშობლოსათვის თავდადებულმა მაჰმადიანმა ქართველება შეადგინეს კომიტეტი და მიზნათ დაისახეს სამაჰმადიანო საქართველოს განთავისუფლება და მთელ საქართველოსთან შემოერთება.

ამ კომიტეტის ბურჯი იყო მამედ მეგ აბაშიძე.

მთელი მოღვაწეობა ამ ადამიანისა იმაში მდგომარეობდა, რომ ქრისტიანი და მამადიანი ქართველები გაერთიანებულიყვნენ საერთო სამშობლოს ფარგლებში. ბევრი დევნა და გაჭირვება გადაიტანა ამის გამო მამედ ბეგმა, მაგრამ ის არ შედრკა, არ გატყდა და ბოლოს გაიმარჯვა.

ვაშა მამულისათვის თავდადებულ მამედ ბეგ აბაშიძეს!

მაგრამ მამედ ბეგსა და ყველა იმ პირებს, რომლებიც საქართველოს გაერთიანებას ემსახურებოდენ, წინ უძღოდა ბრძნული მოქმედება ჩვენი დემოკრატიისა და მთავრობისა, ვაჟკაცობა და სიმტკიცე ჩვენი ჯარისა და გვარდიისა.

ქართველი ერი მთელი საუკუნოები ოცნებობდა ბათუმისა და მისი ოლქის შემოერთებაზე, მაგრამ ამაოთ.

მხოლოდ ჩვენმა მშრომელმა ხალხმა, გლეხებისა და მუშების ჯარმა და გვარდიამ შესძლო ამ დიდი საქმის განხორციელება: ვაშა ჩვენს გლეხობასა და მუშებს! ვაშა ჩვენს მთავრობს!

გამარჯვება ჩვენს ჯარსა და გვარდიას!

დღეს ქართველი ერი დღესასწაულობს დღეს დღეს.

ვისაც გული აქვს და ქუდი ჰხურავს, სამშობლოს გამთელება მისთვის უდიდესი დღესასწაულია.

ბათომი მარტო იმიტომ კი არ არის ჩვენთვის ძვირფასი, რომ ნაწილია საქართველოსი, ის საუკეთესო კარებია, რომელიც აერთებს საქართველოს ევროპასთან.

ევროპისაგან ჩვენ ჯერ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, ბევრი რამ უნდა შემოვიტანოთ.

ამისათვის გვინდა ჩვენ ბათომი.

საქართველოს უნდა გადიქცეს დიდი ევროპის საუკეთესო ნაწილათ.

ეს კი უბათუმოთ შეუძლებელია.

მაგრამ ბათუმი სხვა მხრივაც არის ჩვენთვის ძვირფასი, თავისუფლება და დამოუკიდებლობა ჩვენ მოგვცა მუშა ხალხმა.

ჩვენმა მუშა ხალხმა კი ბრძოლა თავისუფლებისათვის ბათომში ისწავლა.

ბათომში დაილვარა ჩვენი მუშების წმინდა სისხლი და იმ დღესაქეთ ბათომი არის აკვანი, რომელიც უზრდიდა ჩვენს მშრომელ ხალხს საუკეთესო მებრძოლებს.

ჩვენმა ჯარის კაცებმა იხილეს ბათომში უდიდესი გამარჯვება.

როდესაც ინგლისისა და საფრანგეთის დროშები ჩამოეშვა და მათ ალაგს აფრიალდა საქართველოს რესპუბლიკის დროშა, ეს იყო ბრწყინვალე გამარჯვება ჩვენი მშრომელი... ხალხისა, მისი მთავრობისა და ჯარისა.

სანამ ჩვენი მშრომელი ხალხი, მთავრობა და ჯარი მუდამ ერთათ იქნებიან, ისინი არა ერთსა და ორს ბრწყინვალე გამარჯვებას ჩასწერენ ჩვენს ისტორიაში.

ეს სამება მუდამ ერთათ იქნება, მარად მტკიცე იქნება და ამიტომ ჩვენი სამშობლოს სიმტკიცესაც ვერავითარი მტერი ველარ გამოუთხრის ძირს.

გაუმარჯოს გაერთიანებულ სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს ღვიძლს ძმებს მუსულმან ქართველებს.

ივ. გომართელი.

გავლენა აქვთ სოფლათ ბოლშევიკებს თუ არა?

— —

ამ რამოდენიმე დღის წინათ შემთხვევა მქონდა დავრჩენილიყავი რამდენიმე ხნით ჩემს სამშობლო სოფ. ს—ში.

ერთ დღეს საქმის გამო გავემგზავრე ადგილობრივ ერობაში.

მე გამიტაცა ამ სოფლის გადამწვანებულმა სიმინდის ყანებმა და მშვენივრათ მობმულმა ვენახმა. მივდიოდი და იქით აქეთ ვიცქირებოდი, რომ მშვენიერ ვაზის ჩახუნძურებული მტევნები დამენახა და მით დავმტკბარიყავი.

ერთ კოხტათ მოჩითულ ნამყენიდან, ახალგაზრდა მუშა პერანგისამარა, ფეხშიშველა გადმო-

ვიდა, გზა გადამიღობა და ღიმილით მომესალმა მეც მივესალმე და გზის განგრძობა მოვინდომე.

— მოითმიხეთ ბატონო, თუ შეიძლებოდეს! თავაზიანათ შემეკითხა ახალგაზრდა მუშა ღა უფრო დამიახლოვდა.

— ერთი რამე უნდა გკითხო, ბატონო, და მართალი მითხარით, მგონი თბილ-ქალაქიდან ეხლა ჩამობრძანდით...

— ორი მკითხეთ...

— როგორ გესმისთ საქმეები, თათრებთან ბრძოლა ხომ არ გათავებულა?

— გათავდა.

— ჰე, აბა კარგად არ არის საქმე!..

მე გამიკვირდა: ნუ თუ ომი აინტერესებს ამ კაცს თქო — ვიფიქრე — და იქვე დავჯედი, რომ შემეტყო, თუ რათ იყო ასე მონატრული თათრებთან (აზერბეიჯანთან) ომის გაგრძელებისა.

— მე არ მესმის, მიუბრუნდი ისევ ჩემ მოსაუბრეს, ნუ თუ შენ არ გაინტერესებს, რომ რუსებთან და აზერბეიჯანელებთან (თათრებთან) ზავი ჩამოვაგდეთ. ჩვენი ხალხი, მუშა ხალხი, არასოდეს არ იქნება და ყოფილა ომის მოყვარე...

— ბატონო, მე ერთი უსწავლელი კაცი ვარ. რა ხდება არ ვიცი. ვინც რას ლაპარაკობს იმას უჯერებ; ხან კი არ მინდა, რომ დაუჯერო, მაგრამ როდესაც დამარწმუნებენ... გეჩიჩინება, შენ რომ არ იცი მაშინ მას დაუჯერებ...

— რათ ლაპარაკობ მე არ მესმის...

— ბატონო, გუშინ ერთმა კაცმა ამიარა, ახალგაზრდა კაცი იყო. მე ისე გადმოვხტი და დაუხვდი წინ ამბის გასაგებათ, როგორც ახლა თქვენ დაგიხვდით, მინდოდა გამეგო თუ როგორ მიდიოდა ომის საქმე. მან ისეთი რამეები მითხრა, როდესაც გამახსენდება ხან და ხან ტანში ჟრუალს დამიწყებს...

— მაინც რა გითხრა საინტერესო, მომიყევი...

— ლანძღა ჩვენი მთავრობა, აგინა. მალე გადმოვაგდებთო, თქვენ ნუ დაუჯერებთ გატყუებსო ყველასო.

მე უთხარი ბატონო, როგორ გვატყუებს, ძლიერ კარგი მთავრობა გვყავს, სამართლიანი. ანანოვი იყო დიდი მემამულე, ადგილები ჩამოართვა დაურიგა გლეხებს, აგერ მეც მომცა რამოდენიმე ქცევა მიწა თქო. „ზაპასები“ გაიყვანა და „პასობიე“ მოდის თქო.

მან მითხრა: მალე იქნება ბატონ-ყმობა შემოვა და მაშინ ნახავთო, ჯერ ეს მთავრობა მოეწყოს კარგადო. მოიცლის თუ არა, გაათავებს თათრებთან, და თათრებს რუსები ეხმარებიან, ბრძოლაში, მაშინ ნახავთ თქვენ სეირსო: დაგაჯდებათ კისერში ძველი ბატონები, ბევრს იმწუხრებთ, მაგრამ არაფერი გამოგივათო...

არა ბატონო, მაგ ნუ იქნება!

ახალგაზრდა მუშას შევატყვე, რომ პროვოკატორ ენა მოწამლულ ბოლშევიკ-სოციალ-დემოკრატ-ინტერნაციონალისტს მოეწამლა საზიზღარი და [illegible] ებით. მე დავარწმუნე იგი, რომ ასეთი არასოდეს არ მოხდება. ჩვენი მთავრობა პირ იქით, ებრძვის ბატონ-ყმობას და მის ნაშთებს. მაგ., ანანოვი და სხვები რამდენია, რომ მიწები წაართვეს და გლეხებს დაურიგეს თქო.

ახალგაზრდა მუშას პირისახე ვაუბრწყიდა და ღიმილით მითხრა: „ნეტავი მართლა, არ ახდებოდეს იმ წუპაკის სიტყვები და არას ვჩივი! ან ღ როგორ დაუჯერეო თქვა და ჩემ საუბარს დაუგდო ყური.

მე ყველაფერი უამბე რაც ვიცოდი ომისა, ზავის და მთავრობის შესახებ და სხვ. გულდამშკიდებული შებრუნდა თავის კოპწიათ მორთულ ვაზის ნამყენში და მე ჩემს გზას გაუდექი. ბევრი დამაგვიანდა — ვფიქრობდი მე. ერობა, როგორც ჯარის კაცს მუშებს დამახმარს გამიკეთებს ყველაფერს, მაგრამ მაინც გავცთი რაა, ცოტა ხნით ჩამოვედი და ესეც გავცთი! მაგრამ მე არ გავმცთარვარ, მე მგონია სახლზე მეტი აქ გავაკეთე. ამ ერთს ხომ დაუმშვიდე საწყალი გული!

საწყალი!

რა არის ცოდნა? ყველა გატყუილებს, როდესაც არ იცი არაფერი. საწყალი, ისიც არ ცოდნით მატყუებს. „ბატონ-ყმობა“ — საშინელება! რას ავრცელებენ, როგორ ხმას, სოფლის ბოლშევიკები... რათ არ სცხვენიათ ნუ გეშინია, არც ქალაქის დაგიდევენ ჯარის-კაცებისა და ფულის შეწირვის არ იყოს, ამისთანა ტყუილი? რათ არ სცხვენიათ! მე თან მივდიოდი და თან ვფიქრობდი ამას.

ერობის სამყოფ სახლთან ისე მივედი, რომ არც შემიმჩნევია.

შევედი აივანზე.

ძირს ჯგუფ ჯგუფათ მოეყარათ ჯარის-კაცების მამებს და რაღაცას ჩოჩქოლობდენ.

მე მათ გამარჯვება ულოცე და პირდაპირ თავმჯდომარესთან მივედი და ჩემ საქმეზე ლაპარაკი დაუწყე.

ჯგუფებში რაღაც ხმაურობა, ჩურჩული შეიქმნა. ერთი ჯგუფიდან კარგა ნაცნობი კაცი გამოვიდა — ო, დ..... შენ გეცოდინება ახალი ამბები, ახალი მობრძანებული ხართ. აბა, მოგვიყევი რასმე.

— დიდი სიამოვნებით. და სიხარულით უყვებოდი ყველაფერს, რუსეთთან და აზერბეიჯანთან (სამწუხაროთ ტექსტი არ იყო გამოქვეყნებული) დადგენილ ხელშეკრულობის შესახებ.

— ო, შენი ჭირიმე! გაიგონებდი, ხშირათ ჯგუფიდან.

— ო, შენ გენაცვალე ჩვენი მთავრობა! ქართველებს (ქართველებს) ვინ აჯობებს ხშირათ ისმოდა ხმა ჯგუფებიდან.

მკითხავდენ ბათომის შესახებ. მე სამწუხაროთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვიცოდი არაფერი ჩვენ ხელში გადმოცემის შესახებ; ხოლო მთავრობას, რომ ქონდა აზრი, როდესაც მთელი ფრონტი მოიხსნებოდა მთელი ჯარის-კაცები იქ ჩაეყვანა ეს ვიცოდი და ვეუბნებოდი „ბათუმი ჩვენი იქნება, ბათუმს ვინ წაგვართმევს თქო“...

—ერთი ბათუმიც კიდევ! ხშირათ მაგონდებოდა მომცინარე კაცის ხმა ამნაირი ფრაზით.

მე დიდი ხნის დრო აღარ მქონდა, ყოველი წუთი ჩემთვის ძვირფასი იყო და იძულებული ვიყავი მალე შინ დავბრუნებულიყავი.

რამოდენიმე კაცი, ჩემსკენ მომავალი, უკან გამომყვა და გზაში სხვა და სხვა საკითხზე პასუხის მოგებით მივდიოდით.

—ეს „ბალშენიკებია“ თუ რაღაც დაფსება რა უნდა ამ ჩვენთან, რომ გვეჩხუბება—მკითხა ერთმა.

—ბოლშევიკები აღარ გვეომება, ჩვენ მათთან უკვე ზავი ჩამოვაგდეთ.

—აბა რა იყო ეს, ვიღაცამ ამამიარა ილაყბა და წევიდა, დეიკარგა!

რა არ ილაპარაკა: ჩვენი მთავრობა არ ვარგაო, ჩვენ ვიდექით, რუსებს ტყვილა ჩამოვცილდით. პურს ხომ უყურებთ 1000 მან. ბათმანი ეხლა მიტომ არისო. ვასილას ბიჭმა ქე დაუჭირა ფხარი და სხვებმა უთხრეს ძლივს დეეწყო ცოტათი მაინც ქვეყანაო და აწი კი ანგრევთო.

კინაღამ ბრევლი უბასკუნეს საწყალს.

გამოვიდა აგერ ჩვენი პეტრიას ბიჭი და უთხრა: „ადირბიჯანია თუ რაცხა, იქიდან, რომ გეიტანეთ ყველაფერი ისე გინდათ, რომ წახიკოთო და გვითხრა: არ დაუჯეროთ მაგასო. იმ ღამეს საწყალი არევინ არ შეუშვა სახში. ბიჭო, რა აწოწიალებს ამ ოჯახქორს!

გლეხი ცოტათი გულმოსულათ ლაპარაკობდა.

—ბიჭო, დაალაგეს ქვეყანა და კიდო უნდათ აანგრიონ!..

—არა ჩემო ანთიმოზ, თუ თქვენ ჭკუით იქნებით და არ აყვებით ხმებს, ყველაფერი დაეწყობა, თქვენ მოსახდენათ გააკეთებს ჩვენი მთავრობა და თუ არა, დაკარგავთ იმას რაც ეხლა გაქვთ. ბუმბე აზერბეიჯანში მომხდარი საქმე.

—დაგვიფაროს ღმერთმა! ამბობდენ ყოველ სიტყვაზე თანამგზავრი მოქალაქენი.

—თქვენი თავი დაგიფარავთ...

შენი შვილი, რომ ეხლა „სალდათია“ და საქართველოში იმყოფება, თუ მხარი დაუჭირეთ მაგ ბატყუარებს, იცი სად წაიყვანებენ?

—გავანთავისუფლებთო ბატონო!

—ო, ისე გაანთავისუფლებენ როგორც თათრები...

—რავა ბატონო, თათრები გაანთავისუფლეს?

—ჰე ჩემო ალმასხან, გაანთავისუფლეს კი არა ოდესაც პოლონეთის ფრონტს, გერმანიისკენ გააგზავნეს და ზოგიც შიგ რუსეთში. გინდა ასე რომ იყოს?

—დაგვიფაროს ღმერთმა!

—ასე ჩემო ანთიმოზ და ალმასხან, თუ აყვებით ცრუ ხმებს. ქარ ოველი ხალხი ჭკუიერი ხალხია. ათჯერ უნდა გაზომო და ერთხელ გასჭრა. თუ არა შემდეგ გვიან იქნება. აი მაგალითად, რა დაემართა იმ თათრებს, რომელსაც ეხლა ჩვენ ვეომებოდით: შემოუშვა თავის უჭკუობით რუსები, ეგონათ ყველაფერს მოგვიტანებენო. იმისთანა მოტანა ჩემს მტერს მიეცა იმათ, რომ მიუტანეს; ყველაფერი წაიღეს რაც ებადათ. წარმოიდგინეთ პურიც კი წაიღეს თვარა, ნაფთს ვილა დაეძებდა.

—რავა ბატონო პური არ ააქვთ?

—ჰე ჩემო ძმაო, პური კი არა არაფერი არ ააქვთ სუყველაფერი გაანადგურეს თავის სოფელ ქალაქებში, მოსპეს. ეხლა ჩვენი ნაშრომით უნდათ რომ გამოკვებონ ჯარი, მაგრამ ვერ მიართვეს!

(შემდეგი იქნება)

სან. ჯარ.-კაცი.

გათოშის და გათოშის ოლქის შემოერთების გამო.

მისდგა-მისდგა საქართველო. საიდკენაც გაიწოდა თავის სამართლიანად მოსახრავი ხელი, ყველგან გამარჯვება იხილა; ძალმომრეობის მომხრეთა წყალობით ოდესღაც წართმეული, დღეს ყოველ მხრიდან ეკვრის მშობელ დედა—საქართველოს. გულის ამჩუყებელია ეს მოვლენა, სიამოვნების ცრემლთა წარმომფრქვევია ამის ხილვა. დედა მიწაზე სამოთხის სიამეთა გამცდელია ეს ისტორიული ამბები.

მერე ვინ არიან ესოდენ ბედნიერების მომტანი ჩვენი სამშობლოსთვის: ვისი ხელით იკაფება, ვისი ფეხით იტკეპნება ის ეკლიანი გზა, რომელიც ყოველთვის და ყოველგან წინ ახვდება ხოლმე სამშობლოსათვის თავგამოდებული, სამშობლოსათვის წამებულ ან გამარჯვებულ გმირთ?

თვალსაჩენ ბრძოლას წინ უძღვის თვალით უჩინარი ბრძოლა. პირველს შეასრულებს უფროს ხელმძღვანელების წყალობით ჯარი და საერთოდ შეიარაღებული ძალები, მეორეს მთავარ სარდალი და მისი შტაბი.

დღევანდელი ჩვენი ბედნიერი წამები მიეკუთვნებათ მთავარ სარდალს და მის შტაბს, ჯარს და მის უფროსთ. ერთი მეორის ღირსნი და შესაფერისნი აღმოჩნდნენ და ამიტომ შეიმოსნენ თითქმის ზღაპრულ დიდებით და სახელით: **ბიდიან, დაჭხედავენ და იმარჯვებენ.** ყველამ ვიცით ერის წინსვლა, ერის გაბრძოლება და ამ გაბრძოლების სასიკეთოდ დაბოლოვება დამოკიდებულია მრავალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარ სახელმწიფოებრივ, პოლიტიკური, მატერიალურ ფაკტორებზე, მაგრამ მე მსურს შევჩერდე გამარჯვების ზემოხსენებულ ორ მხარეზე.

თუ გული ქართველობს, თუ სული სხივოსნობს სამშობლოს საყვარელ მზის სხივებით, თუ მთელი არსება თრთის წმინდა აღფრთოვანებით იალბუზის მთა ადვილათ გადასალახ გორაკათ გამოიყურება, თუ სამშობლოს სამსხვერპლოზე ყველაფერი მიიტანება და ამის გარდა ზედ დაემატება დასაწველად სანუკარი სიცოცხლეც, სიცოცხლე ახალგაზრდა, სიცოცხლე იმედებით და იდეალებით სავსე, მაშინ ყოველივე წესია და დედამიწის ძალებით იკურთხება ასეთი თავგანწირვა. ასეთია სწორეთ ჩვენი ერის მებრძოლი ნაწილი. ვაი მას, ვინც წინ გადაეღობება ამ გვარ გმირთა ჯგუფს; სამართლიანი მათი რისხვა ქარტეხილივით დაატყდება მოწინააღმდეგეს თავზე და ელვის სისწრაფით მუსრავს მას. ასეც მოხდა ჩვენს თვალწინ აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით.

ამ გმირთა ჯგუფიდან თავმომწონეთ გამოიყურებიან რამოდენიმე პატივცემულნი მხედარნი. მთელი ბრძოლების განმავლობაში გაუქრობელ ლამპარად იწოდნენ, თავს დასტრიალებდნენ სამშობლოს ბრძოლის ბედიღბალს და შეიმუშავებდნენ იმ განკარგულება—ბრძანებათ, რომელთაც ჩვენი შეირაღებული ძალები გამარჯვებიდგან გამართჯვებამდე მიჰყვანდათ. ღამე თავში და კარტებზე სწყვეტდნენ დიდის მოფიქრებით და სიფრთხილით იმას, რაც მეორე დღეს უზენაეს მთავრობას უნდა დაედასტურებინა და რაც ბრძოლის ველზე ჩვენდა საღიდებლად ხორცს ისხამდა.

ყველაფერი სამშობლოს და მის ბედნიერ მოძავალს თითქმის წარეწერებოდა ყოველ მათ შეთანხმებულს ნაბიჯს და ნაკლების მსხვერპლით მიიხწეოდა უდიდესი გამარჯვებები. ყველაფრის აწონ დაწონა, ყველაფრის შეფარდება სამშობლოს სიკეთესთან შესაძლო იყო მხოლოდ იმისთანა პირებისთვის, რომელთაც გულში ულვივოდათ და ულვივით სამშობლო ერისადმი დაუშრეტელი სიყვარული და ერთგულება.

ბრძოლის ველიდგან ბრუნდებიან ან ფარით, ან ფარზეო ისინი ფარით დაბრუნდნენ ფიცხელი ბრძოლის ველიდგან და თავის გმირ არწივთ მშვიდობიან გამარჯვების ასპარეზზე, დიდებულ აღლუმს უმართავენ ქობულეთის და ბათუმის მიდამოებში. აღმოსავლეთით ბრძოლით გამარჯვებამ, დასავლეთით უბრძოლო გამარჯვება ახილებინეს ქართველი მხედრობისთვის დღეიდგან ამ დაუვიწყარ პიროვნებათ. ვაშა მათ ქართველობას!.. მადლობა და მოწიწებით სალამი მათ, რომელთაც ქართველ ერს დიდება შეჰმატეს და საყვარელ სამშობლოს უძლეველს სახელი კიდევ მოუხვეჭეს.

თვალსაჩენ ბრძოლას აწარმოებდნენ ჯარი და მისი უშუალო უფროსნი. ესენი არიან სისხლის ხაზების გავლებათ აღმსრულებელნი. კარგულება—ბრძანებების, რომელნიც [illegible] იქმნა და შეითხზა უამათოდ, მაგრამ ამათ იმედით კი.

არც გაუცრუვა ჩვენმა შეიარაღებულმა ნაწილმა მთავარ სარდალს და მის შტაბს იმედი. მნახველები გაკვირებულნი არიან საერთოდ შეიარაღეულ ძალების გმირობა—მოთბინებით და ომის გაჭირვებათა გადატანით. ადვილი გამარჯვებებით გალაღებულმა მტერმა საქართველოს სასღვრებზე იხილა მედგარი წინააღმდეგობა, სიმამაცე და სროლის სიმარჯვე—სიმტკიცე ისეთივე, როგორიც უნახავთ თურმე გერმანელების კედაროზე. საბრძოლო აღტყინებას ხელს უწყობდა ომის მიზნები და ის გარემოება, რომ ვითომ ჩვენ უნდოდათ აბუჩათ ავეკდეთ და ღირსეული პატივით არ მოჰქცევიყვნენ ისტორიულ—იურიდიულ ჩვენს უფლებას ბორჩალო—ზაქათალაზე. არავის ვერჩით, ნურავინ გვერჩის—იყო და არის ძახილი ქართველი ერისა ამინის უკუნისამდე; რაც ჩვენი იყო, ჩვენი არის და ჩვენი იქნება—შეჰფიცავს საქართველოს მხედრობა ერთმანეთს. ამ ფიცს არ გასტეხს იგი, ვიდრე ერთსაც კი შეჰრჩება პირში სული. სამართლიან ბრძოლაში სიკვდილს რჩეულობს ჩვენი მეომარი, ვიდრე უკანონოთ დაუთმოს ვისმე რამე, ვიდრე ქედი მოუხაროს უცხო მოძალადეებს.

თუ პირველ ჯგუფში რამოდენიმე პირებზე მიუთითებთ, აქ—ჯარში თითქოს გარჩევა არ არის: ყველა გმირობს ყოველი მეორეს ეჯიბრება ბევრის გაკეთებაში, ძნელის შესრულებაში-ამიტომ გახდა უძლეველი ჩვენი ჯარი, ამიტომ გაუძლო მან შინაურ და გარეულ მუხანათობას და ვაჟკაცნი ვაჟკაცურად გაუმასპინძლდნენ ერთთაც და მეორეთაც.

ამის მნახველთ დასავლეთით საომარ კედაროს გამართვას ველარ უბედავენ ბასრ არ წივებათ გადაქცეულ ჯარს და იწვევენ მხოლოდ ჩასაბარებლად იმისა, რაიც გულზე ება და აბია საქართველოს, რაიც მისია და მისი იყო ადამის ჟამიდგან.

ბრძოლიან შარვანდედით შემოსილ ქართველ ჯარს შეჰფერის და დიდათ დაჰშვენდება მშვიდობიანობის დაფნის გვირგვინი იქ—ბათომში და ბათომის ოლქში.

საქართველოს მხედრობავ! აღმოსავლეთით თოფით შთამგონებელო კანონიერებისა და სახელმწიფოებრივობის, დასავლეთით შენის კულტურულობით დაუწესე შენ ღვიძლ ძმებსა და დებს წესრიგი, მიანიჭე მშვიდობიანი ცხოვრება, გვერდში ამოიყენე სრულ უფლებიან მოქალაქედ მთელი აჭარა და ქობულეთი, იხარე და გვახარე შორით შენი მაყურებელი მამა-ძმები.

დაგვირგვინდა ბათომის ბრძოლების ამ ორს მხარის თანხმობითი მუშაკობა სამშობლოსათვის, ერთ სულ და ერთ ხორც იქმნა ჯარი და მისი უფროსნი ომობის შემდეგ მშვიდობიან სამუშაო ასპარეზზე. დიახაც რომ ჰმართებს ზეიმობა ხელმძღვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელთ და ჯარს. რადგანაც პირველთ ისე იფიქრეს და მოისაზრეს, როგორც ყველაზე უფრო შესაფერისი იყო მშრომელ მხარესთვის, მეორემ კიდევ გულით იგრძნო სიკეთე ნამუშევრისა და გატაცებით შეასრულა დაკისრებული მოვალეობა-

ამ სასიქადულო მოღვაწეობის გარეშე მდგომთ მეტი არაფერი დაგვრჩენია გაშტერებით და სიამოვნებით ვუმზიროთ თქვენს გმირობა—ადამიანობას და დღე მუდამ ვნატრულობდეთ თქვენობას.

ლ. ცაგარელი

ბათომის შემოერთების გამო.

მთავრობის თავმჯდომარის წერილი.

ალ. ლომთათიძე კითხულობს დამფუძნებელი კრების სახელზე გამოგზავნილ შემდეგ ქაღალდს:

„საქართველოს ორი წლის ბრძოლა გაერთიანებისათვის დაგვირგვინდა სრული ჩვენი გამარჯვებით. შვიდ ამ თვეს ბათომი და მისი ოლქი მოკავშირე სახელმწიფოებმა დიდის ზეიმით გადმოგვცეს. ქ. ბათომში მათი დროშების ალაგას ააფრიალეს ჩვენი დროშა. (მქუხარე ტაში). ქალაქი და ყველა სახელმწიფო დაწესებულებები იმავე დღეს დაიჭირა ჩვენმა ადმინისტრაციამ და მოხელეებმა. ოლქის სხვადასხვა პუნქტები უკვე დაიჭირა ჩვენმა ჯარის ნაწილებმა და ყოველგან აღმართეს საქართველოს დროშა. ქალაქის და ოლქის ჩაბარება მოხდა და ხდება სრულიად უინციდენტოთ ადგილობრივ მცხოვრებთა მონაწილეობით და თანაგრძნობით (ტაში). მთავრობა დაამყარებს რა წესიერებას მთელს ოლქში შეუდგება ოლქის მოწყობას თანახმად რესპუბლიკის კანონებისა და ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ არჩეულ პირების მონაწილეობით. გაუწყებთ რა ამ სადღესასწაულო ამბავს, ეულოცავ დამფუძნებელ და მასთან ერთად მთელ ხალხს სამუსულმანო საქართველოს დედა-ერთან შემოერთებას, გათიშული ძმების კვლავ ერთად თავის მოყრას და ისტორიულ გზაზე ხელიხელ ჩაკიდებულ გამოსვლას. მთავრობის თავმჯდომარე **ნოე ჟორდანია** (ძლიერი ტაში).

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის სიტყვა.

ალ. ლომთათიძე. მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! საქართველოს ხალხმა მიაღწია თავის ისტორიულ მიზანს, საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილში, სადაც დღემდე საქართველოს ხალხის და ერის მავნე ელემენტების მოქმედებას, სამწუხაროდ, გასავალი ჰქონდა. დღეს ეს ტერიტორია საქართველოს დემოკრატიის, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის განუყოფელი ნაწილია. და იქ ფრიალებს საქართველოს ერის დროშა, დროშა სისხლში განბანილი, ბრძოლის ველებიდან გამოტანილი საქართველოს მუშა ხალხისა და დემოკრატიის მარჯვენის წყალობით. მე ვგრძნობ, მოქალაქენო, დამფუძნებელ კრების წევრნო, გამოვთქვამ საერთო აზრს და მისწრაფებას, თუ ვიტყვი, რომ მთელი ჩვენი ძალა, უნარი და ენერგია, სახელმწიფოებრივი გამოცდილება მოვანდომოთ იმას, რომ ეს მხარე არ ჩამორჩეს ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებს. დემოკრატიულ საქართველოს დემოკრატიულ წესწყობილების განმტკიცებას. დროს ჩვენ დავემყარებით ადგილობრივ მცხოვრებთ და მათი მისწრაფებანი დაკმაყოფილებული იქნება.

ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ ამიერიდან აღარ ექნება ადგილი, ასეთ სამწუხარო მოვლენებს, რომელსაც აქნობამდე ჰქონდა ადგილი. და გაერთიანგბული დემოკრატია საქართველოსი, საქრისტიანო საქართველო სამუსულმანო ნაწილთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული, თავიანთ დამფუძნებელი კრების და ხალხის ნდობით აღჭურვილ მთავრობის ბრძნულ ხელმძღვანელობით დასძლევენ ყოველივე დაბრკოლებებს და მიაღწევენ იმ მიზანს, რომელიც დემოკრატიამ დაისახა. ბათომის გადმოცემა,—ეს ნიშნავს პირდაპირ გზის გაკაფვას ევროპისაკენ. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ და ვიმუშაოთ, რომ განვამტკიცოთ ჩვენი რესპუბლიკა, რომ აღორძინდეს ეკონომიურად ჩვენი სახელმწიფო, აყვავდეს ჩვენი ხალხის დოვლათი და გაძლიერდეს კულტურა. ამ იმედით მივესალმები ყაერთიანებულ საქართველოს ერს, საქრისტიანო და სამუსულმანო საქართველოს და ვუსურვებ ჩვენს სახელოვან გუშაგებს—ჩვენს ჯარს და გვარდიას გამარჯვებას და დღეგრძელობას. (ძლიერი ტაში).

შემდეგ ამისა სოც.-დემოკრ. ფრაკციის წინადადებით სხდომა დაიხურა და დეპუტატები კარებისაკენ გაეშურენ. დამფუძნებელი კრების წინ და ქუჩებში აუარებელი ხალხი იყო მოგროვილი წითელი დროშებით. .

იმავე დღეს მოხდა მოქალაქეების და მუშების მიტინგი, რომელზედაც გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მრავალრიცხოვანი თფილისის მუშა-მოქალაქეთა მიტინგი გულის სიღრმიდან ამოხეთქილ სალამს უძღვნის ბრძოლაში გამობრძმედილ ბათომის პროლეტარიატს და ღვიძლ ძმებს მაჰმადიან ქართველებს. ჩვენ ფიცსა ვსდებთ, რომ ბათომს ამ ორგანიული ნაწილს ჩვენი დემოკრატიისას, არ შეველევით და დღევანდელ ამ დიდ გამარჯვებას ჩვენ დავასრულებთ საერთაშორისო პროლეტარიატის გამარჯვებით—სოციალიზმით. გაუმარჯოს მთლიან საქართველოს დამფუძნებელ კრებას! სალამი სახალხო გვარდიას და ჯარს, სალამი ჩვენს დემოკრატიულ მთავრობას! გაუმარჯოს საერთაშორისო დემოკრატიას“! რეზოლიუციის წაკითხვას მთელი მიტინგი ერთსულოვან ტაშის კვრით და „ვაშას“ ძახილით შეხვდა და ერთხმად მიიღო.

თფ. მუშათა კლასი და კომუნისტების პროვოკაცია.

კვირას, 11 ივლისს; დღის 11 საათზე ცენტრალური მუშათა კლუბის საზაფხულო შენობაში შესდგა თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, ყველა პროფესიონალურ კავშირების გამგეობათა და საქმიანო კომიტეტების სასწრაფო შეერთებული სხდომა.

კრების საგანი იყო საბჭოთა ადერბეიჯანთან დადებული ზავისა და კომუნისტების პროვოკაციულ ცნობების წინააღმდეგ ზომების მიღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეშე საქმეთა მინისტრი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

კრებას დაესწრო თფილისის 30 კავშირის და ყველა საქარხნო კომიტეტების წარმომადგენელნი და თფ. კავშირთა საბჭო, სულ 300-მდე დელეგატი.

გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: საქართველოს მშრომელმა ხალხმა გამოიჩინა შესანიშნავი ერთსულოვნება იმ თავდაცვით ომში, რომელიც მოუხდა ჩვენ რესპუბლიკას მოულოდნელათ „გაწითლებულ“ ადერბეიჯანთან. თავგანწირული ბრძოლის შემდეგ ის დიდი სიხარულით შეხვდა მეზობელ ერთან მომხდარ საზავო ხელშეკრულებას. სამწუხაროთ საბჭოთა ადერბეიჯანის მეთაურები თავისი ყოველდღიური საქმიანობით ძირიანათ არღვევენ ამ ხელშეკრულებას.

ბაქოს კომუნისტური გაზეთები ავრცელებენ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ განგებ შეთხზულ ამბებს. გულუბრყვილო მკითხველსაც კი შეუძლია დაინახოს, რომ ამ „ცნობებს“ აზის წმინდა პროვოკაციის ბეჭედი. ასეთი იყო, სხვათა შორის, „ერთობაში“ და „ბორბაში“ „კომუნისტიდან“ გადმობეჭდილი „დეპეშა“ თბილისში 27 ივნისს ვითომ მომხდარი მუშათა ყრილობის და მისი დახვრეტის შესახებ.

ამისთანა მოგონილი ამბებით „საბჭოთა“ ადერბეიჯანის პრესა საშინლათ ამწვავებს ორი მეზობელი ერის მშრომელი ხალხის ერთმანეთთან განწყობილებას. ბაქოს გაზეთები ხელოვნურად ამხედრებენ ადერბეიჯანის მუშა-გლეხობას საქართველოს მუშა-გლეხობის წინააღმდეგ.

ეს პროვოკაცია ჩვენ მუშათა წრეებში იწვევს აღშფოთებას და დღევანდელი შეერთებული კრება პროფესიონალურ კავშირების და საქარხნო კომიტეტებისა მოითხოვს საქართველოს დემოკრატიული მთავრობისაგან, რომ დაუყონებლივ ზომებით ბოლო მოუღოს ამ პროვოკაციას.

კრება ძმურ სალამს უგზავნის ბაქოს მუშებს, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა „წითელ“ მმართველებთან და რომლებიც დღეს გარბიან ბაქოდან.

საქართველოს მუშათა კლასი არასოდეს არ შეურიგდება ბალშევიკების ანარქიულ პოლიტიკას და არ გადაუხვევს დემოკრიტიულ გზას, რომელიც ერთად ერთი გზაა სოციალიზმის განსახორციელებლათ.

ძირს გამანადგურებელი ანარქია და მშრომელი ხალხის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო ომი!

გაუმარჯოს საქართველოს და ადერბეიჯანის მუშა-გლეხობას!

გაუმარჯოს საერთაშორისო დემოკრატიას და სოციალიზმს!

ეროვნული ბიბლიოთეკა



საგანგებო კომისარი ქ. ბათომისა და მისი ოლქისა
ბ. ჩხიკვიშვილი.

ერთობილი ქართლის სული იზეიმებს სამშობლოს გაკაჟებას, გაერთიანებას, ნაწილების შედუღებას.

ვინ მოიპოვა ასეთი გამარჯვება საქართველოს? პასუხი ერთად-ერთია: საქართველოს მხედრობამ, საქართველოს დემოკრატიამ.

ჩვენს ჯარს ვალად აწევს კვლავ ისევე პირნათლად და მტკიცეთ შეასრულოს თავისი წმინდა მოვალეობა, როგორც აქამდე. ამას გვიკარნახებს სამშობლოს სიყვარული და სანამ ეს სიყვარული არსებობს, საქართველოს დროშა არ გაშავდება.

ჯარის-კაცი არის ერის სულის გამომხატველი და მისი სულის ჩამდგმელი. რომ უფრო დავამტკიცოთ ჩვენი ერთგულება, ჩვენ გვისაჭიროება მტკიცე დისციპლინა, უფროსებას ყურის გდება და სისწორით, შეგნებით სწრაფი შესრულება ყველა ბრძანებისა.

რაც უფრო მტკიცეა დისციპლინა, მით უფრო მაღლა სდგას ჯარი, მით უფრო მარჯვეთ დავიცავთ ჩვენს სამშობლოს და მის ინტერესებს.

როდესაც რაიმე საფრთხე მოელის ჩვენს ქვეყანას, ჩვენი გული და სული მხედრობისაკენ არის მიმართული და ჩვენი ხალხი მუდამ მოელის მისგან შველას. იგი მახვილს ჩასცემს ხოლმე ჩვენს მტერს და მით ააცდენს სამშობლოს მონობას და ყველა მოსალოდნელს უბედურებას.

ეს მომასწავებელია ჯარის სიმტკიცე—შეგნებისა და სამშობლოსადმი სიყვარულისა.

ვინ არის ჯარის კაცი?

ჯარის-კაცი არის სამშობლოს დამცველი და მისი ბედნიერების დარაჯი, ჯარის-კაცი სამშობლოს ანიჭებს თავისუფლებას და ეროვნული ნიჭის გაფართოების საშუალებას. ჯარის-კაცის შემწეობით სუნთქავს თავისუფალად ჩვენი ერი, მისი მეოხებით განაგებს სახელმწიფოს ნამდვილი დემოკრატია, რომლის სათავეში სდგას ჩვენი ბელადი **ნოე ჟორდანია.**

ჯარის-კაცის და გვარდიელის საშუალებით ჩვენმა დემოკრატიამ შეჰქმნა ძლიერი სახელმწიფო მაღალი სულით და, სხვებთან შედარებით, ეკონომიურად უზრუნველყოფილი.

დაკუწმაწებული საქართველო ჩვენმა მხედრობამ, დემოკრატიამ შეაერთა ერთ მჭიდრო სახელმწიფოთ; მუხანათ მტრისაგან მოგლეჯილი საქართველოს სისხლი და ხორცი, ჩვენი დემოკრატიის აკვანი-ბათომი კვლავ შეუსისხლხორცდა თავის ძმას საქართველოს.

დღეს პირველად შედის გამარჯვებული, ნორჩი, მაგრამ ქარცეცხლში გამობრძმედილი ბამაცი ჯარი ქ. ბათომში. დღეს პირველად შავი ზღვის ამბინებულს მწვანე მიდამოებზე მაღლა აფრიალდება ჩვენი წმინდა ეროვნული დროშა და მოეფინება [illegible] მიდამოებს საქართველოს ჰიმნის ჰანგები;

ბათომის ტიპი **ჩაის გამყიდველი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელი ქართველი მხედარი იქნება ისეთი, რომ უარჰყოფდეს ჩვენს დემოკრატიას და ჩვენს დამოუკიდებლობას? მგონია, არავინ. და თუ მოიპოვება, ის იქნება სულით ავათმყოფი და ამისთანა პირი არ უნდა ატარებდეს ჯარის-კაცის სახელს; ის არის საშშობლოს მოღალატე და სამარცხვინო ბოძზე გასაკვრელი. ვინც გაურბის სამსახურს — ის ლაჩარია, ვისაც არა სწამს რევოლიუციით მოპოებული ბედნიერება, სამშობლო, ერი, ძმა და ნათესავი — ღირსი არ არის ადამიანი დაუძახოს.

ვის ემსახურებოდით წინად? იმას, ვინც ჩვენ გვჩაგრავდა, ვინც მონობის მძიმე უღელი დაგვადგა, ვინც ამოგვგლიჯა ენა, წაგვართვა ყველა წმინდათა წმიდა. დღეს კი ჩვენს თავს ჩვენვე ვპატრონობთ, დღეს ჩვენი ბედ-ილბალი ჩვენსავე ხელშია, ჩვენს საქმეს ჩვენი დემოკრატია განაგებს ჩვენდა საკეთილდღეოდ და ამიტომ ვალად გვაწევს, შეასრულოთ ის, რასაც გვიკარნახებს ჩვენი მთავრობა. აი ეს არის ჯარის-კაცის მიზანი, ეს არის ჯარის-კაცის მოვალეობა, ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ბედნიერება.

მ. რუსიშვილი.

ახალციხის ფრონტიდან

ქ. ბორჯომიდან შემხვევი — საკვები — საექიმო რაზმი გამოვიდა 15 ივნის. მთელი რაზმის შემადგენლობა მხიარულობს, რადგან მან იცის მიდის კეთილ საქმის გასაკეთებლად, დემოკრატიის ბატონობის შესანარჩუნებლად. ცოტა არ იყოს მზის უხვმა სხივებმა შეაწუხა ამხ-გი ჯარის-კაცები, მაგრამ განვაგრძნეთ გზა, საღამოს ბინდმა შემოჰკრა... უკვე მოსაღამურდა მწყობრად ნელა მიექანება რაზმი მტკვრის პირად, უხვი ბუნების საკეკლუცე იტაცებს მხედრების ყურადღებას — იკრავს გულში მათ გრძნობას თვალ-წარმტაც ველზედ პურის ყანა ნელა ეფინება, ირხევა დაბურულ ნაძვთა ხევანი ამაყად გამოიყურება თავის სათნო-მხიარული თვალებით და გაისარჯვებას ეუბნება მიმავალ თავისუფლების შვილებს, რომელთა კრიმანჭული სიმღერა აფრთხობს ბუნების სამეფოში ჩამოვარდნილ მყუდროებას... დასავლეთით აღმართულა სალი კლდე და მრისხანებით დაგვყურებს თავს, თითქოს ეს ეს არის თავს დაგვეცეს, მოგვსპოს გაგვანადგუროს... დიდი სიმბოლო ორი უკიდურესობა. ერთი მხრივ მშვენიერებით მორთული ნაპირები, მეორე მხრივ ურყევი მძლავრი ქვათა-კედელი, უკვე მთლად დაღამდა, გრილმა სიომ შემოჰკრა. ცა მოირთო ოქროს ვარსკლავებით, კვლავ სიმღერა ჯარის-კაცების, სიხარული, ყიჟინა უერთდება მდინარის ჩუხ-ჩუხს... ხმა მიდის შორს... შორს... იკარგება ბნელ მცენარეთა სამეფოში შუალამეა, რაზმი [illegible] აწყურში და მოღლილ-დაქანცულ [illegible] ებას... დარაჯები ფხიზლად სდგანან გარშემო...

16 ივნისი.

მივდივართ აწყურიდან, მზე უფრო-უფრო მხურვალეთ უგზავნის სხივებს დედა-მიწას. ჩვენ ირგვლივ სალი კლდებია გავლებული, 11 საათზე შევედით აგარაში. ირგვლივ სოფლებია. წინოუბანი, ზიკილია, საყურეთი, კოპაქე, ტყემლარა, ტრიოხი. ბუნებით სავსე სოფლები, ხეხილებით მორთული ბაღები, ყანებს კარგი პირი უჩანს „ყველაფერი უხვად გვაქვს გვეუბნება მცხოვრებნი - ოღონდა სიწყნარე და მშვიდობა იქნებოდეს ქვეყნად, ამა თქვენ ნასწავლი ხალხი ხართ, საშვალება ქენით, რათქვენდა ჩხუბი, ჩვენ ყველანი ერთი ძმები ვართ. ს. აგარაში ვნახეთ ახალქალაქელი ბერძნები, რომლებსაც ტყავი ეყიდათ და მიჰქონდათ. შემოგვჩივლეს, ხუთი საათი დავაგვიანეთ და ათასი მანეთი მოგვიმატა გამყიდველმა, ძალიან უხაროდათ ჩვენი ჯარის მიერ ცხინვალის დაკავება, მოგვეცემა ეხლა საშვალება თავისუფლათ წავიდეთ სახლშიო. მოსალამურდა. მივედით ახალციხეში და დავბინავდით.

სამი დღე ახალციხეში მოგვიხდა დარჩენა. მოწყობა-გამზადების შემდეგ გავემგზავრეთ ფრონტისკენ.

ადიგენის საზოგადოებაში

რაზმი ჩამოვიდა ს. ადიენში 21 ივნის და დაბინავდა გაშლილ მინდორზედ პირველად გავშალეთ კარვები, რომ დაღლილი მივცემოდით მოსვენებას. მეორე და მესამე დღეს ჩვენ შეუდექით მოწყობას, მოვაწყვეთ საცხოვრებელი ჯარისკაცებისათვის, საექიმო პერსონალისათვის მოვრთეთ პატარა აფთიაქი, შესახვევი განყოფილება, ამბულატორია, საოპერაციო და კარვები ავათმყოფთათვის. ერთუსულოვნება საქმისადმი სიყვარული, უხმოდ დაჯერება სუფევდა ჩვენს საქმეში, რა თქმა უნდა რაზმის უფროსის ექიმ ს. ასლანიშვილის ამხანაგურ მოქცევის ნაყოფი იყო ის თვითონ მუშაობდა — როგორც უბრალო სანიტარი და ამიტომ ყველა უჯეროდა მას. თავისუფალ დროზე უკითხავდით ჯ. კ-ბს გაზეთებს, ჟურნალებს, მოთხრობებს ისინიც გულმოდგინებით ისმენდენ. ცოტა რამ ადიგენის საზოგადოებაზე. ამ სა-ში შედის 27 სოფელი: გაუგი, დარცელი, კიკიბო, ნამნიაური, გუგუნაური, ურთხის უბანი, ხორთუ, ბანი, მოხე, კორტიხი, ჩეჩლა, ჭალა, კეხვანი, სირმე, ლაშე, ზედუბანი, აპიგტი, ძარძმა, გოდერძი, ურტყის უბანი, ადიგენი, პატარასმადა, დიდი სმადა, გომრთო და სხვ.

მთელს საზოგადოების სარჩოს შეადგენს პური და სიმინდის მოსავალი, აგრეთვე შინაური ოთხფეხის მოშენებასაც პირველი ადგილი უჭირავს. აღსანიშნავია ერთი ცუდი მოვლენა, სოფლებში დიდი უსუფთაობა არის, საქონლის განავალს იქვე სახლის კედლებზე აყრიან და ეს ისეთი საგრძნობელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ შიგ იმალება თითქმის სახლის კედლები. ერობას აქვს საექიმო ქსენონი და კარგია რომ მათში მომუშავენი მიაქცევდნენ ყურადღებას და მცხოვრებლებს აიძულებდენ სისუფთავე დაიცონ. გასულ წელს ამ საზოგადოებაში რაღაც სენს 800-დე კაცი და ქალი დაუხოცია ერთი თუ ორი თვის განმავლობაში;

სოფ. ბარძმა.

რადგან საომარი მოქმედება შეჩერებული იყო ჩვენ ვისარგებლეთ შემთხვევით და წავიყვანეთ რაზმი ძირძმის მონასტრის დასათვალიერებლად. ს. ბარძმა მდებარეობს ადიგენის საზოგადოებაში ვ. ვერლით ადიგენიდან, ის აშენებულია მაღლობელ ადგილზედ დასავლელთით ის გადაჰყურებს სოფლებს, ურთხის-უბანს, სირმეს, ჭილას. ზეოლოდ აღმოსავლეთით აღმართულია გორაკი, რომლის იქით მდებარეობს ბოდერძი და ბოდერძის ულელტეხილი. მონასტერი არის აშენებული თამარ-დედოფლის მიერ, ოცი წლის უკან არხიტექტორ სვანიძის და მხატვარ სლავინის მიერ ყოფილა შეკეთებული, შიგ ბევრი მხატვრული სურათებია და სრულიად დაცულია ძველი ხუროთ-მოძღვრება, დღეს ეს მონასტერი მიკეტილია და შენობის უფლის გ. თურმანინ-ოღლი (თურმანიძე) მთელი სოფელი თურმანიძეების აბაშიძეებისა და ჩიქვანებისაგან შესდგება, აღსანიშნავია, რომ ერთმა მცხოვრებთაგანმა შემოგვჩივლა; „ერთათ ერთი სკოლა არის მთელ 27 სოფლისათვის ს. ადიგენში და წრეულს ისიც დაკეტილი იყოვო“ ჩვენ აუხსენით მიზეზები და თუ ვინ არის დამნაშავე, რომ ისეთი პირობები იქმნება რომ ჩვენ არ გვაქვს საშვალება მივაქციოთ ყურადღება მცხოვრებლების ასეთ სამართლიან მოთხოვნასო. დიდი ხნის თვალიერების ახსნის შემდეგ რაზმი მწყობრად, სიმღერით ვაეექანეთ კარავებისაგან.

28 ივნისი.

ეს დღე ჩვენთვის—მხიარულების დღეთ გადაიქცა, 10 საათი იქნებოდა, რომ გენ. ვაშაკიძისაგან გავიგეთ ჩვენი ჯარების შესვლა ბათუმში, ჩვენ სიხარულს საზღვარი არ აქვს, ულოცავთ ერთი მეორეს ხმა-მაღლა, ჯგუფ-ჯგუფად მოიყარეს თავი ჯარისკაცებმა, სიცილ-ხარხალით ერთი-მეორეს პირიდან ართმევენ სიტყვას, ყველა თავისებურად აფასებს, ყველას ღიმი უკრთის სახეზე, პირველი საათია და სადილზეც კი არავინ ფიქრობს. „ნეტავ ბაზეთში თუ რამე იქნება ჯერ, კითხულობს ერთი“, „კაცო რა ნაირად, რა ფორმებში მოხდა“ კითხულობს მეორე: „კი მაგრამ ინგლისელები რას შრვებიან“ თვალ-მომკინარეთ ამბობს მესამე. მეოთხენი და მეხუთენი იძლევიან პასუხს, მაგრამ მაინც ამ პასუხებით რაღაც კმაყოფილი არ არიან, რადგან დაწვრილებით—დანამდვილებით არავინ არაფერი იცის, მთელი დღე მხიარულება. სიმღერა, ცეკვა.,. ბიჭო ეხლა რას იზამს აჭარლები თუ იცი“ ეკითხება ერთი ჯარის კაცი მეორეს „ალბად მეხვეწებიან, თუ მართლა ბედისგან განწირული“ მიუგო მეორემ. დამფუძნებელ კრების წევრს მიქელაძეს ცნობა მოსვლოდა, რომ ეცნობებია ბათუმის გადმოცემის ამბავი აჭარლებისათვის და მიელო ზომები მშვიდობიანად დამორჩილებოდენ ჩვენს ჯარს შეამბოხენი. მანაც გამოლმა მხარიდან აირჩია მოწინავე პირები, რომელთაც განმავლობა ექნებოდათ მათში, დელეგაციაში შედიოდენ შემდეგი მოლები: ორი შანთაძენი, ერთი წულუკიძე, ერთი კახაძე, მათ სამი დღის განმავლობაში უნდა მოეტანათ გადაჭრილი პასუხი. დელეგაცია ჩავსვით დიდ სანიტარულ ავტომობილში და ჯარის-კაცების ხლებით გავემგზავრეთ ურთხის-უბანში. კაშკაში მთვარე უკვე თავს დაგვყურებდა, შემოვძახეთ გურული კრიმანჭული, რამაც ბუნების სამეფოში ჩამოვარდნილი მყუდროება დაარღვია .. ათასი ფიქრები თავს დამტრიალებს... მიხვდებიან ნეტა ჩვენი ძმები აჭარლები ეხლა მაინც თავის შეცდომას ნუ თუ დაგვჭირდება „ზარბაზნების ახმაურება ავანტიურისტებისაგან მოტყუებულ ხალხის ასაწიოკებლად? იქნება თუ არა რაიმე დადებითი შედეგი ჩვენი კაცების გაგზავნის მათთან. ფიქრებში გართული ვერც კი ვამჩნევ თუ როგორ მოჰქრის ავტომობილი და რაგვარად ყოველ წამს უხვევს, მიდის მაღლა-მაღლა, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ბუნების სიკეკლუცე, კალმით აუწერელია მისი მშვენიერება; ქვეშ სადღაც მოისმის მდინარე ქვაბლანის ჩუხ-ჩუხი, ნაძვთა ხეივანი დაბურული, თავ-ჩაქინდრული ჩაჰყურებს დაბლა, მნათობი მთვარე—ვარსკლავებით აბრწყინებს მთის მწვერვალებს. ჯარის-კაცებმა დასძახეს: „ჩემო კარგო ქვეყანა, რისთვის მოგიწყენია“, მოუახლოვდით ურთხის უბანს, ალაგს სადაც სათნო საყვარელი ადამიანი ექიმი სურგულაძე აწვალეს და მოჰკლეს. შევდივართ ურთხის უბანში. მე-11 ათასეულის ჯარისკაცობა და ოფიცრობა შემოგვეგებენ, აწყდებიან ავტომობილს, უნდათ გაიგონ ჩვენი მისვლის მიზანი, ზოგიერთმა ოფიცრებმა იცნენ მიქელაძე, მან აუხსნა დანიშნულება მიმავალ პირებისა. მე 11 ათასეულის ჯარისკაცობა და ოფიცრობა აღფრთოვანებულია, მხიარულება, სიცილ ხარხარი ლაპარაკი ერთმანეთში ირევა. მიქელაძე უკანასკნელად არიგებს მიმავალ დელეგაციას და ჩვენც ულოცავთ გზას. მოსე ბრუნდება. გაიმართა მოკლე საუბარი, რამაც გასტანა რამოდენიმე წუთს. ვჯდებით ავტომობილში და ვეთხოვებით 11 ათასეულის ჯარისკაცებს, ისინიც „ურას“ ძახილით გვისტუმრებენ.

მხიარული სიმღერით გამოვსწიეთ ს. ადიგენისაკენ.

29 და 30-ს გამოურკველობაში ვიყავით... უცდიდით ბრძანებას ამ ორი დღის განმავლობაში თავისუფალ დროს ვამდომებდით წიგნების კითხვას, ექ. სოსო ასლანიშვილმა წაუკითხა ჯარის-კაცებს „ელგუჯა“ რომელმაც ისინი ძალიან დაინტერესა.

ეცნობოდენ მოთხრობის ყოველივე მხარეს. ვარკვედით მთიულების ადათ-წეს, მხოლოდ როდესაც კი ჟურნალ-გაზეთი მოგვივიდოდა მაშინვე იმას ვტაცებდით ხელს.

1 ივლის დაბრუნდა მოსალაპარაკებლად წასული პირები, მათი სიტყვით შეტაკებას არ ექნებოდა ადგილი, მათ მოყვებოდათ მოწინააღმდეგეთაგან წარმოგზავნილი პირები, რომლებიც ჩვენ სარდლობასთან მიდიოდენ ქალ. ახალციხეში მოსალაპარაკებლად. ამდროს ტელეფონით შეგვატყობინეს, რომ ჩვენ მზვერავებს მოუხდათ შეტაკება და მოკლულია ერთი ოფიცერი და დაჭრილია ოთხი ჯარის-კაცი. ჩვენი ჯარის-კაცები გულში ხელებს იცემდნენ. საღამოს მართლა ჩამოიყვანეს ოთხი ჯარის-კაცი დაჭრილი, მათ მაშინვე აღმოუჩინეს დახმარება და შემხვევ რაზმის ლაზარეთში იქნა მოთავსებული. 2 ივლის ამოვიდა სოფელ ადიგენში მე 10 ათასეული. ეს ის ათასეულია, რომლის მცირედმა ნაწილმა უღალატა ხულოში ჩარჩენილ თავის ნაწილს, და საგონებელში ჩააგდო, ეხლა ეს ათასეული ნამდვილი ერთგული, ჩვენი მებრძოლი ლაშქრის ერთი ნაწილთაგანია. წარმოიდგინე რომ ხელში დაჭრილებსაც არ მოეცადათ და ხელ-ახლა მიყვებოდენ. მათ სახეზე ბრძოლის სურვილი აღბეჭდილი, რასაც აშკარად გამოსთქვამდენ კიდეც „გაგვიშვით რას გვაკავებთ“ გვეუბნებოდენ მათი თვალები. მტკიცე ნებისყოფით, შეგნება წინამძღოლობით მიყვებოდენ ოფიცრობა და მუსიკით მიეშურებოდენ გაშლილ მინდორზედ. მათ ესალმებოდა გენ. ვაშაკიძე.

3 ივნის სიწყნარეა, ჩვენი ნაწილი განაგრძობს ჩვეულებრივ მუშაობას.

პ. ლესელი.

კიდევ ერთი გამარჯვება.

——

საქართველოს ახალი ისტორია, მისი შვების პროცესი, ხანა მისი დამოუკიდებლად არსებობისა, მოფენილია უხვი გამარჯვებით, მოქარგულია ბრწყინვალე შარავანდით. ამ ბრწყინვალე შარავანდედს შავი წერტილი დარჩენია. ეს არის ბათუმის ტრაგედია. ყველამ იცის, თუ როგორ ანარქიულ ქარტეხილში შეხვდა საქართველოს შვება, ბრძოლა მისი არსებობის დაცვისა, მისი განმტკიცებისა. როდესაც „მოსკოვის გმირებმა“ საქართველო ბრესტ-ლიტოვსკში გაყიდეს, საქართველო ოსმალეთს პირში საჯიჯგნად გადუგდეს, საქართველომ აიმაღლა ხმა, ფარ-ხმალი აისხა და ჩაება მეზობლებთან ერთად საბედისწერო ომში და როდესაც საომრად გაწყობილი ჯარი ეკვეთა მტერს და როდესაც უნდა ჩაეკრა მტრისთვის უკანასკნელი სასიკვდილო ლახვარი, ამ დროს იჩინა ქართველ მეომარში თავი რუსულმა სენმა, სენმა, რომელიც ... ზარმაში დაიბადა იქ ჩაიდგა ... ყია ქართველი მეომრის გმირული სული და ქართველმა ერმა სასოწარქვეთილებას მიცემულმა მტრის წინ ოდნავ წამოიჩოქა. დაეცა ბათომი. მოსწყდა შვილი თავის ერთგულ დედას. ქართველი ერის მთავარი ძარღვი დაჩლუნგდა. ქართველმა ერმა იგრძნო ეს მწარე ჭრილობა, მწარე ტკივილი და ეკვთა მტერს, რომლის მოწამეც ჩოლოქია. გარეთ ირგვლივ შემოსეული მტერი საქართველოს ხელფეხს უკრავდა, შიგნით კი რუსული სენი აწუხებდა. ეს ის დრო იყო, როდესაც ქართველი ერის ბედი სასწორზე ეკიდა და საქართველო ვით ნავი, რომელსაც მძიმე ტალღები ხან ერთ კიდეს ახლიან და ხან მეორეს დი უფსკრულისაკენ ხრიან და თავგანწირული მენავეც უხვევს უფსკრულს და ღრმად სწამს, რომ მალე გავა ნაპირს და დაახწევს თავს მძიმე ტალღებს. მენავის ერთგულება და გმირობა მოითხოვს დაიღუპოს თუ იგი უშველის შიგ მყოფთ. დაახლოვებით ასე წარმოსთქვა ერთმა საქართველოს მნათობმა. აღელვებული ზღვის ტალღები მოდუნდნენ, შავი ღრუბლები გაიფანტნენ და საქართველოს მოწმენდილ ორიზონტებზედ ბრწყინვალე მზე ამოვიდა. ქართველი მეომრის სული გაირხა. ორი წლის დამოუკიდებელი არსებობისათვის ბრძოლამ გაწმინდა და გაასპეტაკა და თუ ორ წლის წინად ქართველი მეომარი ისე მძიმედ ვერ გრძნობდა. თუ იქიდან პირი იბრუნა დღეს ბრძოლისთვის მზად მყოფი იქითკენ მიემართება და აქამდის ნაწამები ბათუმი ოსმალეთის ,ეხეში და მწარე და ანტანტის ბილი კლანჭებით და ნაჯიჯგნი და ნაწამები ბათუმი, კაპიტალიზმის უკანონო შვილით, სპეკულიაციით უბრწყინდება თავის მშობელს, თავის ღვიძლ დედას, რომელიც მას მორკხვად და ღიმილით ჩაიკრავს და ერთი დროშა ქართველი ერის ძლევამოსილებისა, მისი სიძლიერისა იქ აღიმართება.

იუნკერი.

ძრწოდე!

ვინ არიან ნეტა ასე ფოლადის ხმებით რომ მოკიჟინებენ და ჩაუქად მოაქროლებენ თეთრი გიორგის არაბულ მერანს?

— საქართველოს თავისუფლება! — არ თვითეული მათგანი სახელი. საერთო, შემკრებლობითი სახელი კი ქართველი ლაშქარია.

უანგარიშო არაა, მცირე რიცხოვანია, მაგრამ რაკაა — სულ დარჩეულია, ალმასებული.

ბევრი რად უნდა დედასა
ერთი სჯობს სახელ-დებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოსაც, მაინც და მაინც ბევრი არ ენატრება, ესენიც ეყოფიან ერთგულ გუშაგებად.

მერე რა კარგები, რა საყვარლები არიან.

როცა მათთან ვარ ვივიწყებ ნაღველს, ვიქარ-ვებ კაეშანს და ვფიქრობ იმ უკვდავების შარავან-დედზე, რომელსაც იგინი უმზადებენ სამშობლოს.

სადგურზე ვარ და მათ ვაცილებ ფრონტისკენ.

ვაგონები გაავსეს, ტევა არ არის ახალ-ახლე-ბი ემატებიან. ქუდ-მოგლეჯილი მორბიან, მოიჩქა-რიან... ეშინიათ არ დაუგვიანდეთ. მატარებელმა არ გაუსწროს.

ხვალ დილა—ადრიან უნდა შეემბენ მტერს და ყველა ყველა ისწრაფის მალე გამოიჩინოს გმი-რობა, მალე ეღირსოს სამშობლოსთვის თავის გა-წირვას.

ნაღარა დაჰკრეს.

ორი წუთიცა და დაიძვრის მატარებელი... სი-ყვარულით გაბრწყინებული თვალები მისჩერებიან თფილისს, ემშვიდობებიან...

სიკვდილის ველისკენ მიდიან და ცრემლი არა-ვის უჩანს, თვალებში.

გამოიცვალა დრო.

დიდი ხანი როდია, რაც ეს სადგური საგო-დებლად იყო გადაქცეული. ბევრჯელ ჰსმენია მას ქვითინი; გულის ღონება... თვითპყრობელობა სა-საკლაოსკენ ისტუმრებდა ხალხს და როგორ არ შეძრწუნდებოდა.

დღეს კი წმინდა სამშობლოს თავისუფლების დასაცავად მოიხმო ხალხის სიამაყე მთავრობამ და სიამტკბილობით გაეხმაურა ლაშქარი. სიცილ ქათქა-თით მიდის იქ, საიდანაც ზოგი ველარ დაბრუნდე-ბა... სიცილით მიდის ბრძოლის ველზე და სწამს, რომ არამც თუ იარაღით —სიცილით დაჰბალთავს მტრის გულებს.

დაიძრა მატარებელი.

— მშვიდობით ტკბილო მამულო, მშვიდობით გენაცვალე. შეიძლება ველარა გნახოთ, ველარ ვი-ხილოთ შენი სიკეკლუცე. არა უშავს რა, თავსაც შემოგვლებივართ. ოღონდ შენ იყავ თავისუფალი და ჩვენ შენი ჭირის სანაცვალო ვიყვნეთ.

ნუ ნაღვლიანობ, მამულო, ნუ გეშინიან, შენს ლამაზს ფრთებს აღარ შეჰბოჭავენ მონობის ხუნდე-ბი... შენი ოცნების არწივებს აღარ მოამწყვდევენ ბალიაში.

ჰგუგუნებს სიმღერა მხნე, ომახიანი.

მხიარული გულით მიდიან ბრძოლის ველზე...

ძრწოდე გაარმებულო მეზობელო!

არ ისურვე სიყვარული და იგემე შურისძიება.

დ. თურდოსპირელი.

სელამ-ქელამი

— —

გაუმარჯოს ბათომს,
ზღვის ტალღებით ბანილს!
ალერსით გაგვათბობს
ძალადობით გაყრილს.

— —

მზის სხივები შავ ზღვას
დაუწყებენ ხვევას...
ნავი წავა შორს გზას,—
ტალღა იწყებს რხევას.

— —

ვით დედა შვილს ეკვრის,
ძმა ძმას მისცემს ხელსა...
და გასაჭირს გვეტყვის,—
გაგვინათებს ბნელსა.

— —

აყვავდება მხარე
ტანჯული — მწუხარე...
ყველა გამოჩნდება:
მტერი თუ მოყვარე.

— —

და ერთობის დროშა
გადახედავს ჩვენს ზღვას...
ვაშა ნეტარ დროსა!...
მოძმეს ვაწვდენთ ტკბილ ხმას.

— —

სელამ-ქელამს გიძღვნით
წრფელის გულით, გრძნობით;
მტერს დაუხვდეთ რისხვით,
და ვიცხოვროთ ძმობით!

დ. მეჩონგური,

სამშობლოს.

შენზე ფიქრები მე ოცნებათ როს
გარდმექცევა
ამიტანებენ ფიქრნი მწველი, გულთა მქენჯნავი;
და როს მერანი მიზნისაკენ მე წამექცევა,
მაშვინ ღა მხოლოდ მიმონებენ ფიქრები შავი...
გული ღონდება და ვხუცდები უდროდ
ყმაწვილი,
აღარ მახარებს მე კეკლუცი მარტო ბუნება;
გავლიან დრონი და დარჩება მხოლოდ აჩრდილი,
ჩემ სიჭაბუკეს შენს კალთებში ჩაეძინება.
ჩაეძინება და ამას გთხოვ სატრფოვ სულისა:
არ დამივიწყო, მომიგონე, მხოლოდ შენ ოდეს,
და სთქვი: რომ გახდა მსხვერპლი ტრფობა
სიყვარულისა,
აღარ ვინანო, თუ გინდ მაშინ საფლავი მფლობდეს.

მესანგრე ათას. **შალვა ტყეშ...ვილი**

ქართველ მხედრებს!

კვლავ ფრონტისკენ მეგობრებო, გავეშურეროთ
ერთად, ძმურად;
გადავლახოთ ( )ბრკოლება, და მიუხდეთ მტერ-
სა, მტრულად;
და აღვმართოთ ციხეები, ჩვენ საზღვარზე,
უძლეველი,
მოვაგონოთ მუხანათ მტერს, წარსული და
ჩვენი ძველი;
მოვაგონოთ, რომ ქართველ ერს გული
უღვივს ძველებურად:
ერთგულს ყველას სუფრას უშლის და ღებუ-
ლობს მეგობრულად;
ორგულებს კი, მოღალატეთ, არც თვითონ
სდებს პატივს სრულად.
ყველას პასუხს შესაფერს სცემს, არავის უხ-
რის თავს ლაჩრულად.
მაშ ფრონტისკენ მეგობრებო, კვლავ გავსწი-
ოთ მხიარულად;
ერთის გრძნობით გამსჭვალულმა, შემოვძახოდ
ჩვენ მხედრულად.
თავისუფალ კუთხის ჩვენის, დარაჯად ვდგეთ
ჩვენ ერთგულად;
და ვინც ძმობას უღალატოს, იყოს ის შეჩვე-
ნებულად.
და გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვიცავთ თავისუ-
ფალ საქართველოს.
ჩვენს საკუთარ მიწა-წყალსა, ჩვენს საკუთარ
მთა-ბარ-მდელოს.
მაშ, აბა კვლავ წინ გავსწიოთ, გაუმარჯოს
საქართველოს;
გაუმარჯოს მის შვილთ ერთგულთ, ვინც მას
ჭირში მიეშველოს.

ჯ.-კაცი ა. ბანძელი.

სიმღერა

საქართველოს რესპუბლიკის ჯარები,
არწივები დაწყობილან რაზმებათ,
საშობლოზე ყველა შენაყვარები,
შეფიცულნი მეგობრებათ და ძმებათ.
საქართველოს რესპუბლიკის ჯარები,
ბაირაღებს მზის სხივებზე ელავენ,
სიმღერებით, სიარულ ნაჩქარები,
მოდიან და თითქოს ზღვანი ღელავენ.
ვაშა ჩვენს ჯარს, რომ ვერ ღალვენ ბრძოლები,
როცა მუმლი მუხას ისევ ეხვევა,
ჩვენ არ გვყვანან მტრები თანასწორები,
სულმდაბლებმა სურთ იხელთონ შემთხვევა;
მაგრამ ჩვენი სიმტკიცე და შეგნება,
თავდებია ახალ გამარჯვებისა,
საქართველოვ, შიში კი ნუ გექნება,
შენ იმედი გქონდეს შიშველ ხმლებისა!

ჯ. კ. გრიგოლ ცეცხლაძე

ჩვენს ჯარსა და ვვარდიას.

ბრძოლით ქარცეცხლში გამოვლილს
დღეს მოსვენება სჭირდება,
მაგრამ წყეული მტრის ძალა
თითქოსო უფრო ხშირდება.
მოიწევს ჩვენსკენ სამტროთა,
გვესხმიან ყოველ მხარესა,
და უმზადებენ სამარეს
ედემის მგზავსსა არესა.
მაგრამ ყოველთვის მტრის ძალა
დამარცხებული რჩებიან,
ჩვენი ჯარი და გვარდია
ვეფხვივით ეომებიან.
ან კი რა გასტეხს გმირებსა
შეგნებით მომზადებულსა,
თავისუფლების მოყვარულს
მოძმისთვის თავდადებულსა.
მაშ გაუმარჯოს ქართველთ ერს
და ჩვენ მეომარ გმირებსა,
მარადის ხსოვნა ბრძოლის ველს
შეწირულ დახოცილებსა.

კ. მინდიაშვილი.

მეგრძოლთა გზაზე.

... და დაიწვა, ჩაწვა ცრემლით სამუდამო
სამარეში
ტანჯვის ცეცხლად მოდებული, ვინც სუფევდა
ჩვენ მხარეში.
და მის ნაცვლად, აღზდგა მკვდრეთით გმირი
ჩვენი ამირანი,
სისხლის დროშით გამარჯვებულს დღეს მას დარჩა
მოედანი.

— —

და... დღეს ჩვენ ვართ, ჩვენ ვართ ძმებო,
დიდხანს წვრთნილი ბრძოლის ალში,
სადაც უკვე ისმის ყველგან გამარჯვების ცხარი
ტაში!..
ჩვენ, შევცურდით მომავლისთვის განწირულნი
სისხლის ტბაში,
ჩვენ, ვაკვეთედ მომხდურ ვერაგს უძლეველი
ბრძოლის რაში!..

— —

იბრძვის ყველა, იბრძვის მედგრად, აქ
გვარდია, აქით ჯარი,
სამსხვერპლოზე დადგმულია სიყვარულის წმიდა
ჯვარი,
და ამ ჯვარზე, აღუნიშნავთ, წმიდა მსხვერპლს
არ უთხრან ვარი,
რადგან მათი მიზანისა, გზა, მსვლელობის ერთი
არი!..

ი. საკავიელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხედარი.

I.

წყნარი საღამოა, მთა ჩრდილავს მზის
სხივებს,
ბინდ-ბუნდი მზადდება, აჭკინძავს თვის მძივებს,
სამყარო იცინის, ზღვის მკერდზედ ბანაობს,
ფრსკვლავთა ფერხულში მთვარეცა ბანაობს.

II.

ჰა, რაში მოფრინავს, მთა-მთაზე ქარივით,
მოდის და მოჰყივის დაჭრილი ლომივით,
ცის თაღს შეაძრწუნებს, ლურჯ ჰაერს მოკვეთავს,
ზამულიშვილობას ძუ-ფაფრით მოსჭედავს.

— —

რაშზედ ზის ყმაწვილი, მახვილს ატრიალებს,
მოქნეულ ხმლისა დროს მთები იგრიალებს,
ბაღლა სწევს დროშასა, სისხლის ფერ ბრჭყვიალას,
თვარე კი იცინის, უცინის შრიალას.

— —

ის ერის შვილია, ერშია ჩანთქმული
ბრში და ლხინშია, სახელი განთქმული,
ტერს დასცემს ყიჟინას მამულის შვილურათ,
ამშობლოს ტრაპეზზედ სულს დაჰდევს გმირულათ

— —

რაშს მისდევს ლანდივით ცეცხლისფერ
რკალებში,
ალებში გამოსჩანს, ალ ქაჯის თვალები,
ბედარი კი იბრძვის, იბრძვის შორეულათ
ერის შვილს მოუხმობს, უყივის გრძნეულათ.

— —

„აქეთკენ, აქეთკენ, სამშობლოს შვილებო,
ბში დი ქორწილში, ზრდილ-გამოცდილებო,
ვაცვათ სამშობლო, ნაზ ყვავილოვანი,
ულს ყოფნას სიკვდილი, სჯობს სახელოვანი.

არჩილ გოგინაშვილი.

კულტურული მუშაობა ჯარში და გვარდიაში.

სანაპირო ჯარი. სანაპირო ჯარების უფროსის ბრძანებით მე გავემგზავრე № სანაპირო რაზმში ულტურულ განმანათლებელ საქმის მოსაგვარებ-ად. ქ. ახალციხეში მისვლისთანავე შეუდექით ზმის შტაბთან ცენტრალურ ბიბლიოთეკა-სამკით-ხველოს მოწყობას, რომელიც მიაწვდის ჯარისკაცებს გაზეთებს და წიგნებს საზღვრებზე მდგომ ჯარისკაცებს. აქ შესდგა ცენტრალურ სამკითხველოს გამგეობა, გამგეობამ მიზნათ დაისახა გაუძღვეს როგორც სამკითხველოს, აგრეთვე საერთოთ აწარმოოს კულტურულ განმანათლებელი მუშაობა რაზმში წარმოებული იქნება თანახმად იმ ინსტრუქციისა, რომელიც შემუშავებულია სამხ. სამინისტროს კულტურულ განმანათლებელ სექციის მიერ. რადგანაც № რაზმის ჯარისკაცები რამოდენიმე სადარაჯოებზეა დაფანტულნი, ამიტომ ყველა ბინებზე ეწყობა მოძრავი სამკითხველოები, რისათვისაც გამგეობა ამზადებს ყუთებს საზღვრებზე დასაგზავნათ. ახალციხეში წავიკითხე ლექცია: „საქართველოს მდგომარეობის და ბათუმის შესახებ“ რომელსაც დაესწრო ჯარის-კაცები და კერძო პირებიც.

სანაპირო რაზმი ღებულობს ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს და ბროშიურებს სამხედრო სამინისტროს კულტურულ განმანათლებელ სექციიდან, რისათვისაც დიდი მოხარული არიან ჯარის კაცები,

ჯარის-კაცებს უფრო აინტერესებდათ ბათუმის გადმოცემის ამბავი. კულტურული მუშაობა თითქ-ის ყველგანაა გაჩაღებული, ჟურნალ გაზეთებს ყველგან ღებულობენ, რასაკვირველია, ცოტაოდენი დაგვიანებით.

ყველა სანაპირო ჯარის-კაცთა ბინები ღებულობენ სექციის მიერ ჟურნალ გაზეთებს, წიგნებს და ბროშიურებს. მეტი ყურადღება ჯარის-კაცებისა მიუქცევია დამფუძნებელ კრების საპროპაგანდო კომისიის მიერ გამოცემულ ბროშიურას; „ქართველ მუსულმანს“, სადაც არის აღწერილი ჩვენი ძმების ქართველი მაჰმადიანების ისტორიული ცნობები. ამ ბროშიურას მით უმეტეს უფრო აქვთ მნიშვნელობა, რომ № სანაპირო რაზმის დაკავებულ საზღვრებზე ცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები, რომლის შინაარსის გაცნობა უფრო ნათელ წარმოდგენას აძლევს ჩვენს ჯარს თავის ღვიძლ ძმებზე. საზღვრებზე მდგომი ჯარისკაცები მოხარულნი არიან კულტურული მუშაობის წარმოებით.

რადგანაც წერა-კითხვის სწავლება სავალდებულოა ყველა ჯარის-კაცისთვის სანაპირო ჯარებში, სანაპირო ჯარების უფროსის ბრძანების თანახმად, ეს უკანასკნელი კი, სისრულეში იქნება მოყვანილი. წერა-კითხვის სწავლებისათვის საჭიროა მივაწოდოთ სასწავლო ნივთები საზღვრებზე დიდი აღფრთოვანებით ხვთებიან კულტურულ მუშაობას ჯარისკაცები და ასეთი მუშაობის წარმოებით ისინი სრულიადაც ვერ გრძნობენ იმ განმარტოებულ ცხოვრებით მოწყენილობას, რომელსაც განიცდის სანაპირო ჯარები.

სანაპ. რაზ. ინსტრ. ოფიც. **ალ. გორგაძე.**

კულტურული მუშაობა 2-სანაპირო ფოთის რაზმში.

ჩვენი რაზმის სამკითხველოში რა დროსაც უნდა მობრძანდეთ ნახავთ ჟურნალებს და გაზეთებს, მაგალითათ, ერთობა, სახალხო, საქართველოს რესპუბლიკას ჟუძნალ „მხედარს“ „თეატრს და ცხოვრებას“, მასთან ყოველ კვირეულ „ეშმაკის“ მათრახს. (რუსული გაზეთები გრუზია და ბარბა). აგრეთვე არის წიგნებიც წიგნთ საცავში 1) ყაზბეგის თხუზულებანი საქართველოს ძველი ისტორია და სხვა არის პატარა პატარა წიგნაკებიც. მაგრამ ყველა ეს წვეთია ზღვაში, და თითქმის ყველა გადაკითხული ჯარის კაცების მიერ.

მე 2-რე ფოთის სანაპირო რასმის ჯარის კაცების წიგნთ საცავ სამკითხველოთი სარგებლობს არა მარტო სანაპირო რაზმის ჯარის კაცები — არამედ მთელი ფოთის გარნიზონის სამხედრო პირები რაც დიდს შთაბეჭდილებას ახდენს ყველა ჯარის კაცებზედ. წიგნთ საცავ სამკითხველოს თან ახლავს სკოლა ჯარის კაცებისა. სადაც ყოველ დღე მიდის მაცადინეობა უცოდინართათვის. და რათქმა უნდა, რომ ჯარის კაცებიც ხალისიანათ ეკიდებიან ამ დიდ სასიამოვნო მოვლენას რათა შეისწავლოს სამშობლოს დედა-ენა. უცოდინართა რიცხვი რაზმში კი ყოველ დღე კლებულობს. დღეის რიცხვამდი ხსენებულ წიგნთ საცავ სამკითხველოს განაგებდა ბ-ნ კაპიტანი, რომლის ღვაწლიც დიდია და საქმე მოგვარებული სასურველ ნიადაგზედ იდგა. დღეს მას მიემატა მზურვნელათ მეორე კაპიტანი ეს ორნი პირნი სწავლით და ნდობით აღჭურვილნი ყოველივე ჯარის კაცების მიერ, რა თქმა უნდა ხელი-ხელ ჩაკიდებულნი სიქართველოს ჯარების კულტურულ-გამანათლებელთან ერთათ უხელმძღვაიელებენ მოხსენებულ სამკითხველოს გაასკეცებენ გაამტკიცებენ ჯარში სწავლა განათლების ლამპარს, რათა კიდევ უფრო სასურველ მიზანს მიაღწიოს. სამკითხველომ რის საპატივცემლოთ ჩვენ ჯარის კაცებიც შეეცდებით ღირსოვანათ დავაფასოთ მათი მუშაობა, რისთვისაც უსურვებ მათ გაჯარჯვებას და გაბედულ ნაბიჯების გადადგმას.

მაშ გაუმარჯოს საქართველოს ჯარის კაცების კულტურულ გამანათლების ყველა წევრებს და მის დამაარსებელ ჩვენს გონიერ მთავრობას.

მე კი გამოვსთქვამ სრულ იმედს, რომ ყოველივეს ასეთებს ღირსეულათ შეასრულებს ქართველი მხედრობა, შეიგნებენ [illegible] ინტერესებთან გონებით და თავის დროზედ [illegible] ველები, [illegible] დგრათ ამოუდგებით გვერდში ჩვენს მთავრობას ყოველივე გასაჭირში და კარზედ მომდგარ მტერს დამხთურათ დახვდებით, ლახვარს ჩავცემთ მათ როგორც გჩვევიან ქართველებს თვით საქართველოს უძველეს ისტორიიდან.

მე 2-რე ფოთის სანაპიროს რაზმის ჯარის კაცების დავალებით.

1) ჯარის კაცი **დათიკო გ. ვაჩეიშვილი.**

2) „ „ **ალექსანდრე გ. კვაჭანტირაძე**

რედაქციისაგან.

ჟურნალ „მხედრის“ რედაქცია დაბეჯითებ[illegible] სთხოვს გვარდიელებს, ჯარის-კაცებს, ყველა მეო[illegible] რებს და სხვა ჩვენ თანამშრომლებს, მოგვაწოდ[illegible] ფაქტიური, სწორი, შემოწმებული ცნობები ჯა[illegible] კაცთა ყოველ-დღიურ ცხოვრებიდან, აგრეთვე [illegible] ციალურ სამხედროდარგიდან მასალები ისტორ[illegible] სათვის და მით დაეხმაროს ჩვენს ჟურნალს, [illegible] „მხედარი“ გახდეს მართლა დემოკრატიულ მეო[illegible] მხედრობის ცხოვრების სარკე. სასურველია მო[illegible] წოდებდეთ ომში დახოცილ, დაჭრილ-დასახ[illegible] ბულთა სურათებს ჟურნალში მოსათავსებლათ, [illegible] მოკლე ბიოგრაფიით: რამდენი წლის იყო, რო[illegible] სოფლიდან, სად დაიჭრა, რომელ ბრძოლაში [illegible] სხვა. სურათები სურვილისამებრ დაგიბრუნდ[illegible]

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

პასუხის მგებელი რედაქტ. **ნ. კურდღელაშვილ**

ყოველ-კვირეული ჟურნალი

„მ ხ ე დ ა რ ი“

ჯარის და გვარდიის ნაწილებს ურიგ[illegible] ბათ უფასოთ.

გასასყიდათ თიოთ ნომერი ღირს 10 [illegible]

რედაქცია და კანტორა დროებით მოთავსებულ[illegible] რუსთაველის ქ. სამხ. სამინისტროსთან არს[illegible] კულტურა-განათლების სეძციაში.

ხტამბა სამხედრო სამინისტროს.